# საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

## ბრძანება №46/ნ

**2018 წლის 18 ოქტომბერი**

**ქ. თბილისი**

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 4824.00 კვ/მ გეგმარებითი არეალის (მიწის ნაკვეთებზე – მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 74.06.11.744, 74.06.11.539, 74.06.11.037) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ**

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 4824.00 კვ/მ გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმის თანდართული გეგმარებითი დავალება.

**მუხლი 2**

წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში.

**მუხლი 3**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რეგიონული**
**განვითარებისა და** **მაია ცქიტიშვილი**
**ინფრასტრუქტურის მინისტრი**